საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 1607 2024 წლის 5 ნოემბერი ქ. თბილისი

„მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდისათვის
გათვალისწინებული ასიგნებებიდან თანხის გამოყოფის შესახებ“
საქართველოს მთავრობის 2024 წლის 8 აპრილის №480 განკარგულებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, შეტანილ იქნეს ცვლილება „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 8 აპრილის №480 განკარგულებაში და განკარგულების „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ უზრუნველყოს ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტოსათვის არაუმეტეს 4 000 000 (ოთხი მილიონი) ლარის გამოყოფა, საიდანაც:

ა.ა) 1 500 000 (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) ლარი მიმართული იქნება „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს

კანონით გათვალისწინებული „ერთიანი აგროპროექტის“ (პროგრამული კოდი: 31 05) პროგრამის ფარგლებში, ქვეპროგრამის – „მაღალმთიან დასახლებებში სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობის პროგრამის“ (პროგრამული კოდი: 31 05 22) განსახორციელებლად;

ა.ბ) 2 500 000 (ორი მილიონ ხუთასი ათასი) ლარი მიმართული იქნება „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული „ერთიანი აგროპროექტის“ (პროგრამული კოდი: 31 05) პროგრამის ფარგლებში ქვეპროგრამის – „სასოფლო-სამურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროექტის“ (პროგრამული კოდი: 31 05 10), „მაღალმთიან დასახლებებში სასოფლო-სამურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამის“ განსახორციელებლად;

ბ) არაუმეტეს 16 000 000 (თექვსმეტი მილიონი) ლარი მიიმართოს „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების“ შესაბამისად.“.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**